სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 525/06

ქ. თბილისი, **---- ივნისი 2019 წ**

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით და მეორეს მხრივ, შპს "მაი მობაილ +" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ბოკერიას სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი'' ქვეპუნქტის თანახმად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის'' დაფინანსებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტისათვის გაზური ქრომატოგრაფი "Кристаллюкс-4000 М მე-2 გამოშვება, ЗИП კომპლექტით შესყიდვა. (CPV 38432210)

გაზური ქრომატოგრაფიული კომპლექსს უნად ჰქონდეს შემდეგი ანალიზის ჩატარების შესაძლებლობა:

1. ნავთობის ფრაქციები იმიტირებული დისტილაციით, ASTM D 2887-16A სტანდარტის შესაბამისად;
2. ცხიმოვანი მჟავების საშუალო დისტილატებსი EN 14331 სტანდარტის შესაბამისად;
3. მეთანოლი დიზელის საწვავში EN 14110 სტანდარტის შესაბამისად;
4. ბენზინების დისტილაცია ASTM D 7096 სტანდარტის შესაბამისად ჟანგბადნაერტების განსაზღვრის მიზნით.

2.2 შესყიდვისობიექტისაღწერილობა

№	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები	რაო-ბა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1.	გაზური ქრომატოგრაფი "Кристаллюкс-4000 М მე-2 გამოშვება, ЗИП კომპლექტით	1 ც	20570.00	20 570.00
2.	2 PID მოდული	1 ც	6770.00	6 770.00
3.	პროგრამირებადი ამაორთქლებელი	1 ც	1870.00	1 870.00
4.	ქრომატოგრაფიული ინფორმაციის NetChrom V 2.1 პროგრამული უზრუნველყოფა	1 ც	2244.00	2 244.00
5.	კაპილარული სვეტის შემაერთებელი კომპლექტი (წნევის მარეგულირე-ბელი, დამარეგულირებელი კლაპანი, კასეტა, გადამყვანების კომპლექტი)	2 ც	1907.00	3 814.00
6.	MXT-2887- ტიპის კაპილარული სვეტი ზომებით: 10მ* 0.53მმ * 2.65 მკმ	1 ც	2992.00	2 992.00
7.	ZB-WAX - ტიპის კაპილარული სვეტი ზომებით: 30მ* 0.32მმ * 0.25 მკმ	1 ც	2805.00	2 805.00
8.	ZB-1 - ტიპის კაპილარული სვეტი ზომებით: 30მ* 0.32მმ * 3.0 მკმ	1ც	2992.00	2 992.00
9.	ZB-1 - ტიპის კაპილარული სვეტი ზომებით: 30 მ* 0.53 მმ * 5.0მკმ	1ც	3179.00	3 179.00
10.	DAЖE HT3100 A (15 ვიალი 2 მლ, 6 ვიალი 20 მლ, შპრიცი 10 მკლ)	1 ც	5.61	561.00
11.	ვიალები თავსახურით და სეპტებით	100 ც	29172.00	29 172.00
12.	წონასწორული ორთქლის დოზატორი - ДРП-10	1	7667.00	7 667.00
13.	ქრომატოგრაფიული შპრიცი (10 მკლ)	2	187.00	374.00
14.	ქრომატოგრაფიული შპრიცი (2.5 მლ)	1	448.00	448.00
15.	სორბციული სვეტი - 25 მმ, დიამ. -10 მმ (700 მგ Si O2 -ით)	1	1870.00	1 870.00
16.	პარაფინის ნარევის ტესტი - ASTM D 2887 (Supelco- შესაბამისად)	1 კომპ.	1496.00	1 496.00
17.	ეტალონი - მეთანოლი 3 მლ	2 ც	18.50	37.00
18.	ეტალონი - პროპანოლ-2 3მლ	2 ც	18.50	37.00

№	შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები	რაო-ბა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
19.	სტანდარტი - МЭЖК (ცხიმოვანი მჟავის მეთილის ეთერი) - 1 მლ	1 ც	748.00	748.00
20.	C5-C16, ბენზოლი, ტოლუოლი, ქსილოლი, პროპილბენზოლი, ბუთილბენზოლი ნარევი - 3 მლ	1 ც	1122.00	1 122.00
21.	C5-C16, ბენზოლი, ტოლუოლი, ქსილოლი, პროპილბენზოლი, ბუთილბენზოლი, ოქსიგენატების ნარევი - 3 მლ	1 ც	2244.00	2 244.00
22.	ჰაერის გამწმენდი კატალიზური ფილტრი	1 ც	3216.00	3 216.00
23.	ამაორთქლებელი მემბრანა	100 ც	3.40	340.00
24.	წყალბადის გენერატორი - ГВ-16	1 ც	6844.00	6 844.00
25.	ჰაერის კომპრესორი	1 ც	2206.00	2 206.00
26.	წყლის მოსამზადებელი მოწყობილობა	1 ც	5610.00	5 610.00
27.	აზოტის გენერატორი - ГЧА-18Д	1ц	13838.00	13 838.00
28.	ჰაერის კომრესორი აზოტის გენერატორისთვის	1 ც	2206.00	2 206.00
29.	ნოუთბუქი - Asus Vivobook A-705	1ц	3590.00	3 590.00
30.	გადამყვანი USB-Com	1 ც	261.00	261.00
31	2 დეტექტორზე მწარმოებელი ქვეყნის მიერ დამოწმებული დოკუმენტი, ხელსაწყოს მონტაჟი, აწყობა, ექსპლოატაციაში გაშვება, მეთოდოლოგიის მომზადება, პერსონალის სწავლება 1 ტრენერი არანაკლებ 5 სამუშაო დღე			18 700.00
ჯამური ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს მათ შორის დღგ-ს გადასახადს.				149 823.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 149 823.00 (ასორმოცდაცხრაათასრვაასოცდასამი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

4.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ნ. ხეცურიანი.

4.3 ინსპექტირება ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემსყიდველი განახორციელებს: შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის დახელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული პირის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებსშემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.#1(იურ) , ქ.თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ.#31 (ფაქტ).

6.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან კვალიფიციური ელ. ხელმოწერის ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან 150 (ასორმოცდაათი) დღე.

6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებშიცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. ხელშეკრულების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი საავანსო გარანტიის საფუძველზე. საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენიული უნდა იყოს სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ის ოდენობით.

7.3 გამოუთხოვადი საავანსო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან/და სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური"-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, - ეროვნულ ვალუტაში. რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.4 საავანსო გარანტია მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.5 საავანსო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 150 (ასორმოცდაათი) დღის ჩათვლით. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის საგარანტიო ვალდებულებები სრულად შესრულდება აღნიშნულ ვადამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დაუბრუნოს გარანტია. გარანტია უკან დაუბრუნდება შესყიდვის ობიექტის მიღების შემდეგ, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.6 გარანტია უნდა იყოს უპირობო ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველივე მოთხოვნისთანავე. გარანტიაში არ უნდა იყოს მითითებული, რომ იგი მცირდება შესრულების პროპორციულად.

7.7 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 06 მაისის № 2163 განკარგულების თანახმად, შპს ,,მაი მობაილ+'' წარმოადგენს თეთრ სიაში რეგისტრირებულ კომპანიას და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული ,,თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების'' მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს წინასწარ გადასხდელი თანხის ნახევარი ოდენობის საავანსო გარანტია.

7.6 სახელშეკრულებო ღირებულების დარჩენილი 50%-ის ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან, თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის'' დაფინანსებით, ფაქტიურად მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად ხელშეკრულების მე-5 მუხლით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულების 2.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული ნივთის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.4 იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევ მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) %-ს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაშინებისმიერიცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების პირობების მე-8 მუხლით.

9.4. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. მხარე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შეატყობინოს მეორე მხარეს, სადაც მითითებული იქნება მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;

9.4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ვადაზე ადრე იქნება შეწყვეტილი.

ბ) თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

9.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9.6. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით და;

9.7. ხელშეკრილების 9.4. პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ღირებულება;

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებისგზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. გარანტია და საგარანტიო მომსახურების პირობები

12.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი იქნება ახალი, ქარხნული წარმოების. საქონელი შეფუთული უნდა იყოს მწარმოებლის მიერ ბრენდირებული შეფუთვით, ქარხნულად დაბეჭდილი, მწარმოებლის მითითებით. მოწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების 2.1 პუნქტით არსებულ სტანდარტებს.

12.2 მოწოდებულ საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან 1 (ერთი) წელი.

12.3 საგარანტიო პერიოდში ინსპექტირება ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში. საგარანტიო მომსახურება ხორციელდება მხოლოდ მწარმოებლის მიერ გაცემული პირობების მიხედვით, რაც ასვე გულისხმობს საგარანტიო პერიოდში დაზიანებული მოწყობილობის უფასო და აუცილებელ შეკეთებას, და სათადარიგო ნაწილების ღირებულებას.

12.4 საქონლის მიღებისას ინსპექტირების პროცესში ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს ხელსაწყო ახლით, წუნის/ ხარვეზის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

12.5 იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ ექვემდებარება შეკეთებას, იგი უნდა შეიცვალოს ახლით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის კვალიფიციური ელ. ხელმოწერით ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა იმ ნაკისრი ვალდებულებეის ამოწურვამდე, რომლის შესრულებისთვის დადგენილია განსხვავებული ვადები.

14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი:ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1
რეკვიზიტები:
თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის'' დაფინანსებით
საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

/ნ. ოვსიანიკოვა/

LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2019.06.20 10:15:32 +04'00'

მიმწოდებელი

შპს „ მაი მობაილ+"

მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ #9
საბანკო რეკვიზიტები:
სს ,, თი ბი სი ბანკი"
ა/ა N GE 03 TB 3486 7360 2010 0009
ბანკის კოდი: TBSBGG 22
საიდენტიფიკაციო კოდი: 205294705

დირექტორი:

/ზ. ბოკერია/

Zurab Bokeria

Digitally signed by Zurab Bokeria
Date: 2019.06.20 09:45:50 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

---- ივნისი 2019 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის" დაფინანსებით გაზური ქრომატოგრაფის კომპლექტის (CPV 38432210) შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს მიმწოდებელთან შპს „მაი მობაილ +"

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	ნ. ოვსიანიკოვა
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე	ლ. საღინაძე
თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი	ი. საღარეიშვილი
თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი	ა. კუკულავა
თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსის მ.შ	ა. მერკვილიშვილი
შესყიდვების განყოფილების მთ. სპეციალისტი	ლ. კოპალეიშვილი